ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, სამართალწარმოება
თანასწორობისათვის, თბილისი, 2018

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წინამდებარე ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის, „სამართალწარმოება თანასწორობისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI).

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

**ანგარიშზე მუშაობდნენ:**

ედუარდ მარიკაშვილი

მაია გიგინეიშვილი

**© საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა**

http://gdi.ge

# სარჩევი

**პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ** ..... **5**

**GDI-ში სტაჟირების კომპონენტი** ..... **6**

**უფასო იურიდიული დახმარება** ..... **7**

**საკონსულტაციო შეხვედრები რეგიონებში** ..... **8**

**პროექტის შედეგები** ..... **9**

**სტრატეგიული სამართალწარმოება** ..... **10**

**ოჯახში ძალადობა** ..... **10**

ო.რ.-ს საქმე ..... **10**

ლ.ზ.-ს საქმე ..... **11**

მ. ჭ.-ს საქმე ..... **12**

თ. მ.-ს საქმე ..... **12**

ა. ბ.-ს საქმე ..... **13**

**ქალთა მიმართ ძალადობა და სხვა საქმეები** ..... **13**

ტრანსგენდერი ქალები გენდერული ნიშნით ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გარეშე ..... **13**

თ. ტ.-ს საქმე ..... **15**

X-ის საქმე ..... **16**

მცირეწლოვანი ს.მ.-ს საქმე ..... **16**

**შეჯამება** ..... **17**

## პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) 2017 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 14 დეკემბრამდე ახორციელებს პროექტს „სამართალწარმოება თანასწორობისთვის“. პროექტის ფარგლებში GDI-ს პარტნიორობას უწევდა „ჩართულობის და განვითარების ცენტრი“ (CPD).

პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში მცხოვრებ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებში, ქალთა და გოგონათა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც, აღნიშნულ თემში ქალებისა და გოგონებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობას გულისხმობდა. პროექტი ძირითადად მიმართული იყო ამ უმცირესობებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის, ქალთა საკუთრების უფლების განმტკიცების, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის (განქორწინება, ალიმენტი, ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა) და სხვა მსგავსი საკითხებისკენ. პროექტი რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებში საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ფარგლებში ქალთა და გოგონათა ცნობიერების ამაღლების პროექტი მნიშვნელოვან კომპონენტებსაც მოიცავდა. განხორციელდა ნინოწმინდის, ახალციხის, ახალქალაქის, ხულოს, შუახევისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ერთეულებში.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა მის განხორციელებაში პარტნიორი ორგანიზაციის, „ჩართულობის და განვითარების ცენტრის“ (CPD) მონაწილეობამ. CPD-ის გამოცდილება და მისი კავშირები ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იყო ადგილობრივ დონეზე მუშაობის პროცესში.

პროექტის პირველად ეტაპზე, 2017 წლის 13, 14 და 15 მაისს, GDI-იმ ნინოწმინდაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ხულოსა და შუახევში საორგანიზაციო შეხვედრები გამართა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო უმცირესობებისთვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ადგილობრივ დონეზე სტაჟირებისთვის უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლების და ადვოკატების შერჩევა. სორგანიზაციო შეხვედრებს 98 ადამიანი დაესწრო. მათგან 10 სტაჟიორი და 8 ადვოკატი შეირჩა (იხ. გრაფიკი N1).

**საორგანიზაციო შეხვედრაზე დამსწრე პირთა რაოდენობა:**
**სულ 98 ადამიანი**

ქალი **75**

მამაკაცი **23**

**გრაფიკი N1**

## GDI-ში სტაჟირების კომპონენტი

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა და მიმართულება ადგილობრივ დონეზე უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლებისგან სტაჟიორთა შერჩევა იყო, რაც წარმატებით განხორციელდა. აქტივობის მიზანი იყო რაიონებში აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდების მოძიება და GDI-ში სტაჟირების გზით მათი თეორიული თუ პრაქტიკული კუთხით გაძლიერება. ამ აქტივობამ ხელშესახებ შედეგებამდე მიგვიყვანა. მოგვეცა შესაძლებლობა, ადგილობრივად, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებში გაჩენილიყვნენ ადამიანები, რომლებიც დროულად გამოავლენდნენ მათ თემშივე არსებულ პრობლემებს და ამავე დროს, ეფექტიანი შუამავლები იქნებოდნენ ჩვენსა და ბენეფიციარებს შორის.

სტაჟიორები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროექტის შემდგომ ეტაპზე გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ამ შეხვედრებზე ადგილობრივი თემის მობილიზების, საინფორმაციო მასალებისა და იურიდიული სერვისის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში.

პროექტის ფარგლებში შერჩეულმა ახალგაზრდებმა (იხ. გრაფიკი N2) ორკვირიანი სტაჟირება გაიარეს თბილისში, GDI-ს ოფისში. სტაჟირებისას ისინი გაეცნენ ორგანიზაციის მუშაობას, შეიძინეს და აიმაღლეს ცოდნა სხვადასხვა სახის სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის სპეციფიკის მიმართულებით, დაესწრნენ ლექციებსა და სემინარებს ადამიანის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის შესახებ. სტაჟირების დასრულების შემდგომ თითოეულმა მათგანმა გაგვიზიარა შთაბეჭდილებები სტაჟირების დროს მიღებული გამოცდილების შესახებ, რომელიც ორგანიზაციის facebook გვერდზე გამოქვეყნდა.



## უფასო იურიდიული დახმარება

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო უფასო იურიდიული დახმარება. უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება ბენეფიციარებს სხვადასხვა გზით შეეძლოთ. ესენია - 24 საათიანი ცხელი ხაზი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინ ვიდეო და წერილობითი კონსულტაცია და გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრები.

უფასო იურიდიული სერვისის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა როგორც Facebook რეკლამის, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბუკლეტებისა და სავიზიტო ბარათების საშუალებით, ისე უშუალოდ ორგანიზაციის იურისტებისა და სტაჟიორების მიერ, გასვლით შეხვედრებზე. ამასთან, სოფლებში არსებულ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განთავსდა საინფორმაციო სტენდები, ადგილობრივ მაღაზიებში გავრცელდა ბიოდეგრადირებადი პროდუქტის შესაფუთი მასალა.

ამ მასალაზე განთავსებული იყო ცნობილი მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამები თანასწორობის შესახებ. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები „ქორწინება შენი უფლებაა“ და „ქალი და საკუთრება“. ბუკლეტები და სხვა სახის საინფორმაციო მასალა მომზადდა და გავრცელდა, როგორც ქართულ, ისე უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე. პროექტის ფარგლებში სულ 2104 უფასო იურიდიული კონსულტაცია გაიცა, მათგან 1700 კონსულტაცია - გასვლითი ვიზიტების დროს, ხოლო 404 - სხვადასხვა საშუალებით. აქედან 1639 კონსულტაცია გაეწია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს (იხ.გრაფიკი N3).

### უფასო იურიდიული კონსულტაციები გენდერის ჭრილში



## საკონსულტაციო შეხვედრები რეგიონებში

პროექტის ფარგლებში 89 საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა (იხ. გრაფიკი N4). მათი მიზანი იყო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა და ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროექტის მიზნებთან დაკავშირებული საკითხების გარდა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტები, შეხვედრის მონაწილეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, რეგულარულად გასცემდნენ კონსულტაციებს ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა მიწის, და ზოგადად, უძრავი ქონების რეგისტრაცია, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მოპოვება, მოქალაქეობის მიღება და სხვ.

**საკონსულტაციო გასვლა:**
**89 სოფელი**




**გრაფიკი N4**

შეხვედრებზე არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა: მოსახლეობის მხრიდან ნაადრევი ქორწინების გამართლება ტრადიციებზე მითითებით, ოჯახში ქალთა უფლებების სავარაუდო დარღვევები, უფლებებისა და თავისუფლებების თაობაზე ცოდნის სიმწირე, ენობრივი ბარიერის არსებობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას (ნინოწმინდის, ახალქალაქის და ახალციხის რაიონის სოფლებში) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რეგიონში (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ხულოს რამდენიმე სოფელი) განსაკუთრებით მწვავედ დგას გოგონათა ნაადრევი ქორწინების და ოჯახში ძალადობის, განსაკუთრებით, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრებში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა, გაუცნობიერებლად ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად მიიჩნევდა ოჯახში ქალთა მიმართ ისეთ ქცევებს, რომლებიც აშკარად წარმოადგენს ძალადობის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, ნინოწმინდასა და ახალქალაქში მცხოვრებ ეთნიკურად სომხურ თემში ახალგაზრდა გოგონები ვალდებულნი არიან, ფინანსური შემოსავალი მეუღლის დედას გადასცენ, რომელიც შემდგომ საჭიროებისამებრ გადაწყვეტს, თანხა ოჯახის წევრებს რა ოდენობით გადაუნაწილოს. ოჯახის წევრებს შორის მსგავსი დამოკიდებულება ამ უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დიდ უმრავლესობაში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. დამკვიდრებული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის სოციალური როლის შესახებ, თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ქალი უნდა იყოს დამთმობი, დაკავებული უნდა იყოს მხოლოდ საოჯახო საქმიანობით, ხოლო მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის თავი, გადაწყვეტილებების მიმღები და ქონების მესაკუთრე. იმავე „ტრადიციების“ მიხედვით, ოჯახში უძრავი ქონების მემკვიდრედ მამაკაცი მიიჩნევა, ხოლო ქალის როლი ქორწინებით, ქმარზე ზრუნვითა და ბავშვების მოვლით შემოი-

ფარგლება. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, ქალებისთვის განქორწინება საცხოვრებლის გარეშე დარჩენას ნიშნავს, რის გამოც, განქორწინების ან თუნდაც პროტესტის გამოთქმის შემთხვევაში, ღია ცის ქვეშ რომ არ დარჩნენ, ქალებს ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების ატანა უწევთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის იურისტები, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად დამსწრეთა მხრიდან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებისა, მაქსიმალურად ცდილობდნენ პრობლემურ საკითხებზე ინფორმაციის ბენეფიციარებამდე მიტანას. ამიტომ, საკონსულტაციო შეხვედრებს ერთგვარად ცნობიერების ამაღლების შინაარსიც ჰქონდა. იურისტები ბენეფიციარებს, მათთვის გასაგებ ენაზე (ქართული, რუსული და ზოგ შემთხვევაში, სომხური (ამ უკანასკნელ შემთხვევაში თარჯიმნის დახმარებით)), ესაუბრებოდნენ განათლების აუცილებლობაზე, ოჯახში ძალადობის ფორმებსა და მათ პრევენციაზე, მემკვიდრეობის განაწილებაზე გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით, ალიმენტზე, მეუღლეთა თანასაკუთრებასა და სხვა რელევანტურ საკითხებზე.

## ცნობიერების ამაღლების კამპანიის კომპონენტი

როგორც უკვე აღინიშნა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტები შეხვედრების დროს კონსულტაციების გარდა ცნობიერების ამაღლების კამპანიასაც ატარებდნენ, რადგან მითითებული კომპონენტის არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა ინფორმირებულობას პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში მომზადდა 5 ვიდეორგოლი (ქართულ, სომხურ და აზრებაიჯანულ ენებზე) და ჩატარდა ოთხი თემატური ტრენინგი. მიგვაჩნია, რომ მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ასევე, ნაადრევი ქორწინების საკითხების ასპექტების სიღრმისეულ გაანალიზებაში.

ვიდეორგოლები:

1. ურთიერთობები - ოჯახი, მეგობრები, რომანტიკული და გრძელვადიანი ურთიერთობა, ქორწინება;
2. გენდერული როლები და ადგილი ოჯახში;
3. ოჯახში ძალადობის ფორმები და მისი პრევენცია;
4. საზოგადოება და კულტურა (გენდერული როლები, მრავალფეროვნება, სექსუალობის რეპრეზენტაცია მედიაში);
5. თანასწორობა და დისკრიმინაცია.

## პროექტის შედეგები

პროექტის იურისტების ძალისხმევით, პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი ბენეფიციარების ხელმისაწვდომობა სამართალწამოებაზე, თუმცა სამიზნე რეგიონებში, როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, ცნობიერების ამაღლების კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. რეგიონებში დაბალია სამიზნე ჯგუფების აქტიურობა საკუთარი უფლებების დასაცავად და ქალები ძირითადად თავს იკავებენ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან. მიუხედავად ამისა, პროექტის იურისტებმა და ადვოკატებმა, გასვლითი შეხვედრების შედეგად, ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობებში, ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი საქმეები აწარმოეს. საქმეები შეეხებოდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, განქორწინებას, ბავშვების ადგილსამყოფელის განსაზღვრას, დისკ-

რიმინაციას რელიგიური ნიშნით, ალიმენტს და სხვ (იხ. ქვემოთ).

საბოლოო ჯამში, პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა გასვლითმა შეხვედრებმა და საინფორმაციო ხასიათის აქტივობებმა ხელი შეუწყო ბენეფიციართა მომართვიანობის ზრდას. სამიზნე ჯგუფებს მიეცათ საშუალება, დაუბრკოლებლად ესარგებლათ უფასო იურიდიული დახმარებით. პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წვლილად უმცირესობებში ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, შეიძლება აღინიშნოს ის, რომ ამ უმცირესობებში ქალებმა საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლა დაიწყეს, რაც, როგორც აღინიშნა, მომართვიანობის ზრდაშიც გამოიხატა.

## სტრატეგიული სამართალწარმოება

პროექტის განხორციელებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხი ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევად რჩება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს რეგიონებში. ადგილობრივი ტრადიციებისა და ჩვეულებების გავლენით, საზოგადოებაში ქალის უფლებები კვლავაც დაკნინებულია. ზოგადი დისკრიმინაციული ფონის გამო, განსაკუთრებით ხშირია ოჯახში ძალადობის შემთხვევები. პროექტის მიმდინარეობისას „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ 29 ქალს გაუწია სრულყოფილი სამართლებრივი დახმარება, კერძოდ, წარმოადგინა ისინი საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში. აღნიშნული საქმეებიდან, რამდენიმე მათგანი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო როგორც ზოგადად ქალთა უფლებების დაცვის, ისე ოჯახში ძალადობის კუთხით. ქვემოთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

## ოჯახში ძალადობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევები, საქართველოს რეგიონებში, საკმაოდ ხშირია. პროექტის მიმდინარეობისას გამოვლენილ რამდენიმე ასეთ შემთხვევას ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტებმა და ადგილობრივმა ადვოკატებმა მსხვერპლს თითოეულ საქმეში სრულფასოვანი სამართლებრივი დახმარება გაუწიეს და შესაბამისი რეკომენდაციებიც გასცეს.

### ო.რ.-ს საქმე

ო.რ.-მ „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ დახმარებისთვის 2017 წელს მიმართა. იგი წლების განმავლობაში განიცდიდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას საკუთარი მეუღლისგან. აღნიშნული საქმე ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შემთხვევაა.

ო.რ, ყოფილმა ქმარმა თავისი ნების საწინააღმდეგოდ, 2008 წელს მოიტაცა. თანაცხოვრების დაწყებიდან ორ თვეში მეუღლემ ქალბატონ ო.-ზე ფიზიკური ძალადობა დაიწყო, რაც გამოიხატებოდა ცემაში, სხვადასხვა საგნების სროლაში, ცხელი წყლის გადასხმაში და ა.შ. ამასთანავე, ის სისტემატურად ძალადობდა ქალზე ფსიქოლოგიურად - აგინებდა, შეურაცხყოფას აყენებდა და ემუქრებოდა, რომ თუ სახლიდან წასვლას დააპირებდა, აუცილებლად მოკლავდა და თვალებს დაუზიანებდა.

ძალადობისაგან თავის დასაღწევად, ო.რ. დროებით მშობლების სახლში გადავიდა, თუმცა ამან მოძალადე ვერ შეაჩერა. იგი ქალბატონ ო.-ს მშობლების სახლში ცივი იარაღით დაესხა თავს და განსაკუთრებული სისასტიკით იძალადა მასზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავები ფლობდნენ ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ, თუმცა

ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენიათ. სამართალდამცავები საფუძვლად ო.-ს პოზიციაზე უთითებდნენ, რომლითაც იგი უარს აცხადებდა საჩივრის შეტანაზე. თავის მხრივ, მსხვერპლის ასეთი ქმედების მიზეზი წლების განმავლობაში მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა და მუქარა იყო.

ძალადობის ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა 2017 წლის 25 ივლისს მოხდა, როდესაც მოძალადე ო.რ.-სა და მის დედას პნევმატური იარაღით დაესხა თავს. მან ქალს მრავლობითი დაზიანებები მიაყენა, კერძოდ, ესროლა სხეულის მიდამოებში და იარაღის ტარით თავი დაუზიანა. ოჯახში ძალადობის ამ ეპიზოდზე მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ ო.რ. წარმოადგინა საგამოძიებო ორგანოებში და დაიცვა მისი, როგორც დაზარალებულის უფლებები საერთო სასამართლოებში. მოძალადე საბოლოოდ სამივე ინსტანციამ დამნაშავედ სცნო და მას ორწლიანი თვისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## ლ.ზ.-ს საქმე

ლ.ზ.-ს საქმე ნათლად ადასტურებს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებისა, განსაკუთრებით რეგიონებში, პრობლემად რჩება სამართალდამცავებისა და საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისადმი. ლ.ზ. წლების განმავლობაში იყო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი საკუთარი მეუღლისგან. მან არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს, თუმცა სამართალდამცავებს, ეფექტიანი ქმედებები ძალადობის აღსაკვეთად, არ განუხორციელებიათ. 2017 წლის ოქტომბერში იგი „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტებს დაუკავშირდა, რომლებმაც მას სრულყოფილი სამართლებრივი დახმარება გაუწიეს.

როგორც წინა შემთხვევაში, ლ.ზ.-ზე ძალადობაც მისი მოტაცების მცდელობითა და შემდეგში ნების საწინააღმდეგოდ ოჯახის შექმნით დაიწყო. თანაცხოვრებიდან რამდენი თვეში ლ.ზ.-ს მეუღლემ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება დაიწყო და წამალდამოკიდებული გახდა. ამ ეტაპიდან იგი სისტემატურად ძალადობდა მსხვერპლზე, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, კერძოდ, სცემდა და აგინებდა ქალს, ძალადობის ერთ-ერთი ეპიზოდის დროს კი ცივი იარაღით დაესხა თავს ლ.ზ.-ს და დაჭრა მუცლის არეში.

სისტემატურ ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდნენ ლ.ზ.-ს არასრულწლოვანი შვილებიც, რომელთაც მამა აიძულებდა, წამლის ე.წ. მოხარშვაში დახმარებოდნენ, ავალებდა მათ სხვადასხვა მასალის მოტანას, წამლის სუნის გაქრობას სახლში და ა.შ. ამასთანავე, იგი ბავშვების თვალწინ მოიხმარდა წამალს, რაც უარყოფითად აისახებოდა არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე.

ლ.ზ.-ს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში ნათლად ვლინდება სამართალდამცავთა გულგრილი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიმართ. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი შემთხვევაც: 2017 წლის მაისში, ლ. ზ.-მ ქმრის მხრიდან მორიგი ძალადობის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, ამ ინციდენტის გამოსაკვლევად მისულმა პოლიციელებმა, როგორც მსხვერპლი აცხადებს, თავად ქალი დაადანაშაულეს და აღნიშნეს, რომ ქმართან პატარა ჩხუბის გამო მას თავის მოკვლა არ უნდა ეცადა. ამასთანავე, იმის მაგივრად, რომ პოლიციელებს გამოძიება დაეწყოთ, მათ ლ.ზ. საავადმყოფოშო გადაიყვანეს და როგორც მსხვერპლი აცხადებს, ექიმებს განუმარტეს, რომ ქალმა დიდი რაოდენო-

ბის წამლები თვითმკვლელობის მიზნით კი არა, ტკივილის გასაყუჩებლად დალია. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სამართალდამცავები, გარკვეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით რეგიონებში, გულგრილები არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ და ცდილობენ თავად ქალის ბრალის პოვნას ოჯახურ კონფლიქტში.

ლ.ზ.-ს მომართვის შემდეგ „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ" განცხადება შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა როგორც ლ.ზ.-ს, ისე მისი ორი არასრულწლოვანი შვილის მიმართ. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა მხარის არგუმენტაცია და დამცავი ორდერის შესახებ განცხადება ყველა, მათ შორის, მსხვერპლებთან კომუნიკაციის აკრძალვისა და მათ ადგილსამყოფელთან მიახლოების, პუნქტებში, დააკმაყოფილა.

### მ. ჭ.-ს საქმე

მ.ჭ. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" ბენეფიციარია, რომელიც 23 წლის განმავლობაში განიცდიდა მეუღლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

წინა ორი შემთხვევის მსგავსად, მ.ჭ.-მაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ შექმნა ოჯახი. მისმა ყოფილმა ქმარმა ქალზე ძალადობა მალევე დაიწყო, კერძოდ, მუდმივად ცდილობდა მსხვერპლის დამცირებასა და შეურაცხყოფას, და ქალს ფიზიკურადაც ეხებოდა. მოძალადე პათოლოგიურად ეჭვიანი იყო, შესაბამისად, მ.ჭ.-ს სახლიდან წასვლა და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა ეკრძალებოდა.

ძალადობის ერთ-ერთი ბოლო მძიმე შემთხვევა მოხდა 2017 წლის სექტემბერში. როგორც მსხვერპლი აცხადებს, ამ დღეს მოძალადე სახლში ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდა და სრულიად უმიზეზოდ დაუწყო ჩხუბი მ.ჭ.-ს. იგი ჯერ ქალს შეეხო ხელით, შემდეგ კი თავის არასრულწლოვან შვილს. წინააღმდეგობის გაწევის პასუხად კი, მოძალადე ნაჯახით დაედევნა მ.ჭ.-სა და მის შვილებს, რომელთაც შემდეგში თავი ახლობლებს შეაფარეს. აღნიშნულ ინციდენტს უამრავი თვითმხილველი ჰყავდა, როგორც თავად მოძალადის ნათესავები, რომლებიც სახლის ქვედა სართულზე ცხოვრობდნენ, ისე მეზობლები და გამვლელები. საზოგადოების გულგრილობაზე მიუთითებს ისიც, რომ არცერთ მათგანს არ მიუმართავს პოლიციისთვის და შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ფაქტზე არც გამოძიებადაწყებულა.

2018 წლის 12 თებერვალს „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ" თბილისის საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართა. ერთ-ერთი პირობის თანახმად, სასამართლოს მოძალადისთვის მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილთან მიახლოება უნდა აეკრძალა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილი თავად მოძალადის საკუთრებაში აღრიცხული სახლი იყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და მოძალადეს დამცავი ორდერის პირობების თანახმად, საკუთარ სახლთან მიახლოება ექვსი თვის ვადით აუკრძალა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. GDI მ.ჭ.-ს იურიდიულ დახმარებას ალიმენტის დაკისრებისა და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის კუთხით ამ დრომდე უწევს.

### თ. მ.-ს საქმე

2017 წლის 12 ივლისს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" ადგილობრივ ადვოკატს ხულოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებმა თ.მ.-მ მიმართა.

მისი განმარტებით, იგი წლების განმავლობაში განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქო-

ლოგიურ ძალადობას მეუღლისა და მისი მშობლების მხრიდან. 16 წლის ასაკში თ.მ. მშობლებმა იძულებით გაათხოვეს. თანაცხოვრების დაწყების დღიდან, მეუღლე ქალს უხეშად ეპყრობოდა, დროის გასვლის შემდეგ კი, ეს აგრესია უფრო გაიზარდა. ქმარი და მისი მშობლები თ.მ.-ს ავიწროებდნენ და მუდმივად მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ თამარი არ ფეხმძიმდებოდა. ამასთანავე, ქალბატონი თ.მ. შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლიც იყო, კერძოდ, მამამთილი მას ფიზიკურად შრომას აიძულებდა. ასეთ ძალადობრივ გარემოში ცხოვრების გამო, თ.მ.-მ დიდი რაოდენობით წამლები მიიღო და თვითმკვლელობა სცადა, რომ არა მისი ძმის სწრაფი რეაქცია, შემთხვევა ფატალურად დასრულდებოდა.

2017 წლის 22 ივნისს თ.მ.-მ საჩივარი შეიტანა აჭარის პროკურატურაში და ოჯახში ძალადობის გამოძიება მოითხოვა. საქმე ხულოს მუნიციპალიტეტის პოლიციას გადაეცა, მათ გამოკითხეს მსხვერპლი  და სხვა საგამოძიებო ქმედებებიც განახორციელეს, თუმცა პასუხისგებაში დღემდე არავინ მიუციათ.

### ა. ბ.-ს საქმე

ა.ბ.-მ „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ დახმარებისთვის რუსთავიდან მომართა. იგი ორი 2 წლის განმავლობაში განიცდიდა მეუღლისგან და დედამთილისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, მათ შორის, ორსულობის პერიოდშიც.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ა.ბ.-მ საკუთარი სურვილით შექმნა ოჯახი. დაქორწინების შემდეგ ცოლ-ქმარი საცხოვრებლად დედამთილთან გადავიდა. მსხვერპლის განმარტებით, დედამთილთან თანაცხოვრების შემდეგ მისი ქმარი რადიკალურად შეიცვალა და დედამისთან ერთად ფსიქოლოგიური ძალადობა დაიწყო. დროთა განმავლობაში აგრესია უფრო გაიზარდა და კაცმა ა.ბ.-ზე ფიზიკური ძალადობაც დაიწყო, რომელმაც სისტემატური ხასიათი მიიღო. ფიზიკური ძალადობა არც ქალის ორსულობის პერიოდში შეწყვეტილა, რის შედეგადაც ბავშვი ჯანმრთელობის პრობლემებით დაიბადა.

ძალადობის ბოლო შემთხვევის შემდეგ მსხვერპლმა პოლიციას მიმართა. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო სისხლის სამართლის ნიშნები, საქმე მოძალადის წინააღმდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით აღიძრა, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ ა.ბ. წარმოადგინა საგამოძიებო ორგანოებში, ჩვენი მოთხოვნით იგი ცნეს დაზარალებულად. ჩვენ ასევე ვიცავდით ა.ბ.-ს ინტერესებს სასამართლოში მის მიერ ჩვენების მიცემის დროს. ამჟამად, საქმე სასამართლო წარმოების პროცესშია.

## ქალთა მიმართ ძალადობა და სხვა საქმეები

პროექტის მიმდინარეობისას, „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებით, რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქმე აწარმოა.

### ტრანსგენდერი ქალები გენდერული ნიშნით ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გარეშე

პროექტის ფარგლებში „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ მოამზადა კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მიზნად ისახავს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-31 მუხლის დისკრიმინაციული შინაარსის (სადავო ნორმის შინაარსი ტრანსგენდერ ქალებს გამორიცხავს კანონის დაცვის სფე-

როდან) არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-17 მუხლებთან მიმართებით.

მოსარჩელე ტრანსგენდერი ქალია. მან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მის მიმართ გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართა. სასამართლომ 2018 წლის 5 თებერვლის განჩინებაში (საქმე N3/605-18) მიუთითა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ განცხადება წარმოდგენილია მოსარჩელის მიერ. საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (მოქმედების ვადა - 13.10.2027 წელი), სადაც მითითებულია, რომ მოსარჩელე არის მამრობითი სქესის პირი. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი არ მიეკუთვნება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"; საქართველოს კანონის მე-3 პრიმა მუხლით გათვალისწინებულ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა წრეს".

იმავე საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2018 წლის 27 თებერვლის განჩინებაში ყურადღება არ გაამახვილა მოსარჩელის სქესზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, უბრალოდ, არ არსებობდა დამცავი ორდერის გამოცემის საჭიროება, ვინაიდან მოძალადის მიმართ, ამავე ძალადობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული იყო პატიმრობა.

სასამართლოების მიერ სადავო ნორმის მსგავსი განმარტებით, ტრანსგენდერი ქალები გამოირიცხებიან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის დაცვის სფეროდან, რაც არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

სადავო ნორმის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საზოგადოებრივ და პირად ურთიერთობაში გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ტრანსგენდერ ქალს კანონის დაცვის სფეროდან გამორიცხავს, კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება და მათ უფლებების სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების გარეშე ტოვებს. მიგვაჩნია, რომ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ტრანსგენდერი ქალი და ცისგენდერი[1] ქალები არსებითად თანასწორები არიან. სადავო ნორმის მიხედვით, კანონის მოქმედება ვრცელდება გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე, შესაბამისად, არსებითია არა ბიოლოგიური სქესი, არამედ გენდერული იდენტობა. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ტრანსგენდერი ქალების 30-50% ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი. მათი დიდი ნაწილი ძალადობას განიცდის გენდერული ნიშნით, თუმცა ცისგენდერი ქალებისგან განსხვავებით, ტრანგენდერ ქალებს, გენდერული ნიშ-

1 ადამიანები, რომელთა გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატულება ემთხვევა იმ სქესს, რომლითაც ისინი დაიბადნენ.

ნით ძალადობის შემთხვევაში, არ შეუძლიათ ისარგებლონ ზემოხსენებული კანონით გათვალისწინებული დაცვის ბერკეტებით, რადგანაც სასამართლომ ნორმა ისე განმარტა, რომ ყოველგვარი ლეგიტიმური მიზნის გარეშე ამორიცხა ისინი კანონის მოქმედების სფეროდან.

ჩვენი მოსაზრებით, სადავო ნორმა პრობლემურია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებითაც. სადავო ნორმით სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას ისეთი საკანონმდებლო სივრცე, რომელიც მსხვერპლ ტრანსგენდერ ქალებს უზრუნველყოფს საჭირო სამართლებრივი ბერკეტებით, როგორც ძალადობის პრევენციისთვის, ასევე, პოსტ-ძალადობის პერიოდისთვის, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლს ეწინააღმდეგება.

## თ. ტ.-ს საქმე

თ. ტ.-მ „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ 2017 წლის ივლისში მომართა. იგი მეგობარი მამაკაცის, საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნის, გ. ბ.-ს მხრიდან, 2015-2016 წლებში სისტემატურად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციითა და მტკიცებულებებით დასტურდება გ. ბ.-ს მიერ განხორციელებული ძალადობის ექვსი დამოუკიდებელი ეპიზოდი. ძალადობის საფუძველი, ძირითადად, გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია იყო. თ.ტ.-მ არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს და მოითხოვა ძალადობის აღკვეთა, თუმცა უშედეგოდ. საქმის გარემოებებიდან ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გ. ბ., როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავთა მხრიდან მის მიმართ წარმოებულ სამართლებრივ პროცესებზე ზეგავლენის მოსახდენად, საკუთარ თანამდებობას და გავლენას იყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავები ინფორმირებულები იყვნენ ძალადობის ფაქტების შესახებ, ისინი არ იღებდნენ ზომებს მათ აღსაკვეთად, პრევენციისა და სავარაუდო დანაშაულის გამოსაძიებლად, რასაც არაერთი ფაქტობრივი გარემოება და მტკიცებულება ადასტურებს:

მაგალითად, 2015 წლის ოქტომბერში ჩადენილ ძალადობაზე დაწყებული გამოძიება 2016 წლის მაისში დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძვლით შეწყდა. თუმცა იმავე ფაქტზე საქართველოს შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ გ. ბ.-ს დისციპლინური გადაცდომა დაუდგინა და აღნიშნა, რომ გ.ბ.-ს მხრიდან დასტურდებოდა თ.ტ-ს მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და დამამცირებელი მოპყრობა. 2016 წლის ივლისში, ქალბატონ თ.ტ.-ს მიმართ განმეორებით ჩადენილ ძალადობაზე დაწყებული გამოძიება 2017 წლის მაისში კვლავ იმავე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის, საფუძვლით შეწყდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროკურატურაში ძალადობისას მოძალადისთვის წინააღმდეგობის დროს თ.ტ.-ს მხრიდან მიყენებული უმნიშვნელო დაზიანებების ფაქტზე გამოძიება კვლავ გრძელდება. მსხვერპლის ქმედებებზე გამოძიების დაწყება და მისი წარმოება, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი დისკრიმინაციული მიდგომაა, რათა მსხვერპლის შემდგომ პრეტენზიებზე არსებობდეს გამყინავი ეფექტის მქონე ბერკეტი, შესაძლო დამნაშავედ ცნობის შიშის სახით. ამასთანავე, საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 5 მარტის დასკვნით დასტურდება, რომ გ. ბ.-მ არასამსახურებრივი მიზნით, შსს-ს მონაცემთა ბაზაში უკანონოდ გადაამოწმა თ.ტ.-ს პერსონალური მონაცემები.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ თ.ტ. წარმოადგინა საგამოძიებო ორგანოებში და სრულყოფილი სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება გაუწია.

იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის ყველა შიდა მექანიზმი ამოწურული იყო, ჩვენ 2018 წლის 6 მარტს საჩივრით მივმართეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საჩივრის მომზადებაში აქტიური დახმარება EHRAC-მა (European Human Rights Advocacy Center/ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ევროპული ცენტრი) გაგვიწია. საჩივარში ვასაბუთებთ თ.ტ.-ს მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ ძალიან მალე, დაახლოებით სამ თვეში, დაიწყო მხარეებთან კომუნიკაცია. 2018 წლის 16 ოქტომბერს სახელმწიფოს ბოლო ვადა ჰქონდა მისი პოზიციის სასამართლოსთვის წარსადგენად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 21 სექტემბერს ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ქალთა უფლებათა დამცველი ხუთი საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნა და ისინი საქმეში მესამე პირებად ჩართო. კერძოდ, საქმეში მესამე პირად ჩაერთო შემდეგი ორგანიზაციები: მაიამის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა კლინიკა / Human Rights Clinic of the University of Miami(HRC); იმედის სახლი / Casa de Esperanza (CAZA); ქალთა მიმართ ძალადობის დასასრული / End Violence Against Women International (EVAWI); მომავალი ძალადობის გარეშე / Futures Without Violence (FUTURES) და ქალები ფედერალურ სამართალდამცავ ორგანოებში / Women in Federal Law Enforcement (WIFLE).

## X-ის საქმე

X-მა „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ 2018 წლის იანვარში მომართა. იგი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია და მას ყოფილი პარტნიორი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით ემუქრებოდა.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ X წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროში და მოითხოვა გამოძიების დაწყება X-ის შანტაჟის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურად სენსიტიურად მიუდგა და კონფიდენციალურობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, საქმეზე გამოძიება და შესაბამისი გადაუდებელი ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა აწარმოეს.

ჩვენი ჩართულობისა და  შსს-ს მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, პოლიციამ დააკავა დამნაშავე და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცა, ხოლო X ცნო დაზარალებულად. ამასთანავე, X-ს აუნაზღაურდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების მუქარით გამოძალული ფინანსური ზიანი - 1800 ლარის ოდენობით.

## მცირეწლოვანი ს.მ.-ს საქმე

საქმე შეეხებოდა მცირეწლოვანი ს.მ.-ს არამართლზომიერად საქართველოს ტერიტორიიდან გადაყვანას.

ს.ბ.-ს დედა, ნ.გ., წლების განმავლობაში იმყოფებოდა ოფიციალურ ქორწინებაში აზერბაიჯანის მოქალაქესთან, რომელთანაც მას შეეძინა ერთი საერთო შვილი ს.ბ.. ბოლო წლებში მეუღლეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ფაქტობრივი განქორწინებით დასრულდა. მეუღლე ს.მ.-ს დედას მუდმივად ემუქრებოდა ბავშვის აზერბაიჯანში გადაყვანით, ამის გამო ნ.გ.-მ იუსტიციის სამინისტროს მიმართა და ს. მ.-ს პასპორტის გაუქმება მოითხოვა. მიუხედავად ამისა, მამამ, საზღვრის ოფიციალური კვეთით მაინც შეძლო მცირეწლოვნის საქართველოს ტერიტორიიდან არამართლზომიერად გაყვანა უპასპორტოდ.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ ნ.გ.-ს და მის შვილს სრულყო-

ფილი სამართლებრივი დახმარება გაუწია. ჩვენ სარჩელით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და მცირეწლოვნის არამართლზომიერად გადაადგილების ფაქტის დადგენა მოვითხოვეთ. ამასთანავე, განცხადება წარვადგინეთ საქართველოს პროკურატურაში და მოვითხოვეთ გამოძიების დაწყება იმ მესაზღვრეების ქმედების ფაქტზე, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვის უპასპორტოდ გადაადგილება დაუშვეს. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ასევე აქტიურად იყო ჩართული პარალელურად მიმდინარე აზერბაიჯანის სასამართლო პროცესში, რომელიც ბავშვის მიკუთვნების საკითხს ეხებოდა. ჩვენ წარმოვადგინეთ ნ.გ. და მისი შვილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სადაც გამოთქვეს მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა აზერბაიჯანის შესაბამის ორგანოებთან.

ამ ეტაპზე, აზერბაიჯანის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვი მიკუთვნებულია დედისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ კი, შესაძლებელი იქნება ს.მ.-ს საქართველოს ტერიტორიაზე გადმოყვანა. ამასთანავე, ჩვენი მიმართვის შემდეგ საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მესაზღვრეების შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე. ჩვენი მოთხოვნა იუსტიციის სამინისტროს მიმართ კი, ამჟამად წარმოების პროცესშია.

## შეჯამება

როგორც ვხედავთ, ქალთა მიმართ ძალადობა კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემაა, რომელიც დღემდე მწვავედ დგას საქართველოში. პროექტის მიმდინარეობისას „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ რეგიონებში შეხვდა ასობით ქალს, რომელთაც არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. ადგილობრივი ტრადიციების გავლენით, ქალი მემკვიდრედ არ განიხილება. ამასთანავე, ქალებმა არ იციან, რომ განქორწინების შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ ყოფილ მეუღლეს დააკისრონ ალიმენტი არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ. ამ საკითხებთან დაკავშირებით „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ კონსულტაცია გაუწია შეხვედრებზე დამსწრე ქალებს. ამასთანავე, ჩვენ და ჩვენმა ადვოკატებმა წარმოვადგინეთ 10-ზე მეტი უმცირესობის წარმომადგენელი ქალი სასამართლოში ალიმენტისა და განქორწინების დავებზე. შემთხვევათა უმრავლესობაში სასამართლომ გაიზიარა ჩვენი პოზიცია და მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა.

ზემოთ განხილული საქმეები ასევე მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ოჯახში ძალადობის საკითხი კვლავ დიდ გამოწვევად რჩება, თუმცა აღსანიშნავია სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ. ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების დასაცავად უფრო მკაცრია წინა წლებთან შედარებით. ამის შედეგია ძალადობის შემთხვევის შემდეგ, ქალთა მიმართვიანობის სტატისტიკის ზრდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით[2], 2018 წელს პოლიციელებმა 5472 შემაკავებელი ორდერი გამოსცეს[3]. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წელთან შედარებით, შემცირებულია შემაკავებელი ორდერის დარღვევის მაჩვენებელი[4]. ამასთან, 2018 წლის პირველი 9 თვის მაჩვენებ-

2 შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში, 2018, იხ. https://police.ge/adamian-isuflebebi/index.html#p=1 [16/10/2018]

3 იქვე, გვ. 6.

4 იქვე, გვ. 9.

ლებით, ოჯახურ დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 4339 საქმეზე, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, დაახლოებით 50-ით მეტია. ამასთან, დაახლოებით იმავე პროცენტული მაჩვენებლის სხვაობით მიეცნენ პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მსგავს დანაშაულებზე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის გატარების მნიშვნელობაზე.

მიუხედავად სახელმწიფოს პოზიტიური და ქმედითი ნაბიჯებისა, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა დღემდე განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, სადაც ზოგადი ფონი ისევ დისკრიმინაციულია. ჩვენს წარმოებაში არსებულ საქმეებში გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავთა ნაწილს კვლავ გულგრილი დამოკიდებულება აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისადმი, კერძოდ, ისინი ხშირად ცდილობენ დაინახონ ქალის ბრალი ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. ჩვენს საქმეებში, მაშინაც კი, როდესაც პოლიციელებისთვის ცნობილი გახდა ოჯახში ძალადობის შესახებ, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში რეაგირებენ, თუ ამის შესახებ მსხვერპლი განაცხადებს. სამართალდამცველთა ამგვარი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, განაპირობებს მსხვერპლის უნდობლობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მსხვერპლის დაუცველობას მოძალადისგან და ამ უკანასკნელის რეაბილიტაციის შეუძლებლობას.

ოჯახში ძალადობის მიმართ, გარკვეულ შემთხვევებში, გულგრილია საზოგადოების ნაწილიც. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ამ დრომდე არ არის უზრუნველყოფილი ქალთა უფლებრივი თანასწორობა. მრავალ საკითხთან მიმართებით, ქალებს არ აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება და ისინი ფაქტობრივად ძალადობის მსხერპლნი ხდებიან ადრეული ასაკიდან. ამის ნათელი დასტურია ზემოთ განხილული საქმეები, სადაც თითქმის ყველა შემთხვევაში მსხვერპლს ოჯახი ადრეულ ასაკში, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ჰქონდა შექმნილი.

ამასთანავე, გარდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისა, მსხვერპლი ყველა საქმეში განიცდიდა ეკონომიკურ ძალადობას. ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობა მსხვერპლისთვის ყველა შემთხვევაში ძალადობაზე ხმამაღლა ლაპარაკის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. საზოგადოებისა და სამართალდამცავების გულგრილი დამოკიდებულება კი, ერთობლიობაში, აბრკოლებს ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენას და პრობლემის აღმოფხვრას.